პროგრესის შესახებ კომუნიკაციის პოლიტიკა

2024

1. ამოცანები

კომუნიკაცია პროგრესის შესახებ (CoP) წარმოადგენს **გაეროს გლობალური შეთანხმების** ბიზნეს-მონაწილეთა საჯარო და ყოველწლიურ სავალდებულო ანგარიშგება, რომელიც მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ამოცანებს:

- კორპორაციული მდგრადობის კუთხით ანგარიშვალდებულების გაზრდა, გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივის მნიშვნელობის გასამყარებლად;
- ხელი შეუწყონ უწყვეტ განათლებას და დახმარება გაუწიონ **კორპორაციული მდგრადობის** მიღწევისკენ სწრაფვას; და
- გაზარდონ დაინტერესებული მხარეების ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მონაწილეების მიერ **ათი პრინციპის** განხორციელებას და **მდგრადი განვითარების მიზნების** (SDGs) შესრულებაში წვლილის შეტანას.

2. შემადგენელი ელემენტები

2024-ის კომუნიკაცია პროგრესის შესახებ შედგება:

a) **აღმასრულებელი დირექტორის (ხელმძღვანელის) განაცხადისგან მუდმივ მხარდაჭერაზე**
   - სტანდარტული განაცხადი, რომელიც გამოხატავს **გაეროს გლობალური შეთანხმების** მუდმივ მხარდაჭერას კომპანიის ხელმძღვანელის თუ აღმასრულებელი დირექტორის ან დანიშნული წარმომადგენლის მხრიდან; და

b) **პროგრესის შესახებ კომუნიკაციის კითხვარისგან (პრიორიტეტულია)**
   - კითხვები კორპორაციულ ქმედებებზე, რომლებიც დაკავშირებულია **ათ პრინციპთან** და **მდგრადი განვითარების მიზნებთან.** ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულოა. [**პროგრესის შესახებ კომუნიკაციის** კითხვებზე პასუხის გაცემასთან ერთად ბიზნესის მონაწილეებს შეუძლიათ ატვირთონ თავისი ანგარიში, მაგალითად ანგარიშგება მდგრადობაზე **პდფ** (Pdf) ფორმატში **პროგრესის შესახებ კომუნიკაციაზე** დანართის სახით];

   და/ან

   მდგრადობის ანგარიშის ატვირთვა (ალტერნატივა)
   - განცხადება, პუბლიკაცია ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოიცავენ კომპანიის აქტივობებისა და მდგრადობის მისაღწევად გაწეული ძალისხმევის ყოვლისმომცველ განხილვას და რომლებიც ზუსტად აღწერენ ანგარიშგების პერიოდში მიღწეულ გაუმჯობესების გზებს, გამოწვევებსა და პროგრესს. გამომდინარე იქიდან, რომ დეტალების აღწერა სავალდებულო არ არის, ანგარიში ძირითადად უნდა ეხებოდეს გაეროს გლობალური შეთანხმების **ათ პრინციპს** და **გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს.**

პროგრესის შესახებ კომუნიკაციის ყველა კომპონენტი, მუდმივი მხარდაჭერის შესახებ აღმასრულებელი დირექტორის (ხელმძღვანელის) განაცხადისა და ყველა სხვა დამატებითი მასალის ჩათვლით, საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი **გაეროს გლობალური შეთანხმების** ვებგვერდზე მოთავსებულ მონაწილეთა შესაბამის პროფილზე.

3. დოკუმენტების წარდგენის ვადები და მეთოდები

- გაეროს გლობალური შეთანხმების მონაწილეებს მოეთხოვებათ შეავსონ ციფრულ პლატფორმაზე ატვირთული პროგრესის შესახებ კომუნიკაციის ყოველწლიური კითხვარი.

- აღმასრულებელი დირექტორის (ხელმძღვანელის) განაცხადი და პროგრესის შესახებ კომუნიკაციის შევსებული კითხვარი ან მდგრადობის ანგარიშგება ატვირთული უნდა იყოს ზემოაღნიშნულ პლატფორმაზე დადგენილ პერიოდში (2024 წლის 1აპრილი - 31 ივლისი). მონაწილეებს შეუძლიათ შეარჩიონ ნებისმიერი თარიღი მითითებულ პერიოდში.

- ბიზნეს-მონაწილეები, რომლებიც ატვირთავენ პროგრესის შესახებ კომუნიკაციისთვის (CoP) საჭირო ინფორმაციას, მიენიჭებათ აქტიური წევრის სტატუსი გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე.

- *[ახალი წევრების საყურადღებოდ:]* ახალი წევრები ვალდებული არიან ატვირთონ თავისი პირველი CoP მომდევნო კალენდარული წლის აღნიშნულ პერიოდში მას შემდეგ, რაც გაწევრიანდებიან (მაგალითად, თუ ბიზნეს-მონაწილე გაწევრიანდება 2024 წელს, პირველი CoP უნდა ატვირთონ 2025 წლის ანგარიშგების პერიოდში). მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ გაწევრიანების პოლიტიკა (Joining Policy).

- *[ახალი წევრების საყურადღებოდ:]* ბიზნეს-მონაწილეები, რომლებიც გაწევრიანდებიან რომელიმე კალენდარული წლის მე-3 ან მე-4 კვარტალში (ივლისი-დეკემბერი) შეუძლიათ, არ გამოაქვეყნონ მათი პირველი კომუნიკაცია პროგრესის შესახებ საჯაროდ და მის ასატვირთად თავის პროფილზე აირჩიონ ‘კონფიდენციალური მეთოდი’. ასეთი მეთოდის არჩევა არ იქონიებს გავლენას CoP პოლიტიკის სხვა ასპექტებზე. მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი შემომატებული წევრი ვალდებულია ატვირთოს აღმასრულებელი დირექტორის (ხელმძღვანელის) განაცხადი და შეავსოს კითხვარი ან ატვირთოს მდგრადობის ანგარიშგების ალტერნატივა, რის შედეგადაც ის შეყვანილი იქნება სიაში სახელწოდებით „არა-კომუნიკაციური წევრი“ და იმ შემთხვევაში თუ ეს წევრი არ ატვირთავს თავის კომუნიკაციას პროგრესის შესახებ მითითებულ პერიოდში (საჯარო ან პირადი მეთოდით), ის საბოლოო ჯამში გაირიცხება გაეროს გლობალური შეთანხმებიდან.

  თუ მე-3 ან მე-4 კვარტალში შემომატებული წევრი გადაწყვეტს, ატვირთოს კომუნიკაცია პროგრესის შესახებ კონფიდენციალური მეთოდით, მის მიერ ატვირთულ პასუხებზე მხოლოდ **გაეროს გლობალურ შეთანხმებას** და ადგილობრივი ქსელის თანამშრომლებს მიუწვდებათ ხელი და ის არ გასაჯაროვდება გაეროს გლობალური შეთანხმების ბიზნეს-მონაწილეთა პროფილზე. მაგრამ გაეროს გლობალური შეთანხმება იტოვებს უფლებას

გამოიყენოს ატვირთული CoP მონაცემები ანალიზისთვის მონაწილის შესახებ მონაცემების გასაჯაროების გარეშე.

- *[შესწორებები ატვირთულ CoP-ში:]* მას შემდეგ, რაც მოხდება 2024 წლის CoP-ის ოფიციალურად ატვირთვა, მონაწილეები ვეღარ შეიტანენ ცვლილებებს CoP კითხვარის პასუხებში (ან დანართებში). თუმცა ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში **გაეროს გლობალური შეთანხმება** იტოვებს უფლებას, ინფორმაციის ატვირთვიდან ორი კვირის განმავლობაში თავად განახორციელოს მისი რედაქტირება ცალკეულ შემთხვევაზე დაყრდნობით.

4. ინფორმაციის წარუმატებლად წარდგენა

არა-კომუნიკაციური წევრის სტატუსი

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ CoP-ის ერთი ან ორი საჭირო ელემენტის *(იხილეთ პუნქტი 2 - შემადგენელი ელემენტები)* ატვირთვა დადგენილ ვადებში 31 ივლისამდე *(იხილეთ პუნქტი 3 - ატვირთვის ვადები და მეთოდები)* წარუმატებლად დასრულდება, გაეროს გლობალური შეთანხმების ვებგვერდზე ბიზნეს-მონაწილეს მიენიჭება 'არა-კომუნიკაციური' წევრის სტატუსი. მონაწილეებს 'აქტიური წევრის' სტატუსი მიენიჭება და არ გაირიცხება სიიდან CoP-ის ყველა სავალდებულო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში იგივე კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე.

გაეროს გლობალური შეთანხმებიდან გარიცხვა

თუ 'არა-კომუნიკაციური' სტატუსის მქონე ბიზნეს-მონაწილე წარუმატებლად ატვირთავს საჭირო ინფორმაციას 31 დეკემბრამდე, ის გაირიცხება გაეროს გლობალური შეთანხმებიდან.

[ხელახლა გაწევრიანების სურვილის მქონე წევრების საყურადღებოდ:] სიიდან გარიცხულმა ბიზნეს-მონაწილეებმა, ვისაც სურვილი აქვს ხელახლა შეუერთდეს გაეროს გლობალურ შეთანხმებას, უნდა შეავსოს CoP ელექტრონული კითხვარი ექსელის (Excel) ფორმით ან ალტერნატივის სახით ატვირთოს მდგრადობის ანგარიშგება ხელახლა გაწევრიანების მიზნით. იმ მონაწილეებს, ვინც თანახმაა გაასაჯაროონ თავისი CoP ინფორმაცია, უნდა ატვირთონ CoP-ისთვის საჭირო დოკუმენტაცია ციფრულ პლატფორმაზე. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ გვერდი სახელწოდებით სიიდან გარიცხვისა და ხელახლა შემოერთების პოლიტიკა (Delisting and Rejoining Policy).

5. ფორმატი და ურთიერთობის ენა

- CoP-ის ციფრული პლატფორმა ხელმისაწვდომია გაეროს ექვს ოფიციალურ ენაზე: არაბული, ინგლისური, ფრანგული, მანდარინი, რუსული და ესპანური. გარდა ამისა, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის (ხელმძღვანელის) განაცხადის ნიმუშის, CoP-ის კითხვარისა და CoP-ის სახელმძღვანელოს ნახვა შესაძლებელია გაეროს გლობალური შეთანხმების CoP-ის ვებგვერდზე (UN Global Compact CoP webpage) დამატებით შერჩეულ ენებზე.

- კითხვარის იმ ნაწილში, სადაც მოთხოვნილია ტექსტის/ნარატივის შეტანა, სასურველია მონაწილეებმა ეს იგივე ენაზე გააკეთონ, რომელ ენაზეც არის შერჩეული კითხვარი.
- CoP-ის დანართების ენა არჩევითია და მათი ატვირთვა შესაძლებელია ნებისმიერ ენაზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დანართები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი შესაბამისი მონაწილის პროფილზე.
- CoP-ს შევსებული კითხვარის ჩამოტვირთვა შესაძლებელი გახდება მისი ატვირთვისთანავე ციფრულ პლატფორმაზე.

6. შვილობილი კომპანიები (წევრები)

დამფუძნებელი კომპანიის CoP-ის წლიური დოკუმენტაცია ავტომატურად ეხება ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც დაკავშირებული არიან გლობალური შეთანხმების ციფრულ პლატფორმასთან. მათ შეუძლიათ ატვირთონ თავისი **კომუნიკაცია პროგრესის შესახებ** (CoP) რათა უზრუნველყონ უფრო მეტად ფოკუსირებული ანგარიშგება ოპერაციებზე, რომელიც მათ მიერ სრულდება, თუმცა თითოეული შვილობილი კომპანიის ანგარიშგების მოთხოვნები თანხვედრაში უნდა იყოს მისი დამფუძნებელი კომპანიის მიერ ატვირთულ CoP ინფორმაციასთან. დამფუძნებელი კომპანიის CoP გამოჩნდება შვილობილი წევრების პროფილზეც სახელწოდების ქვეშ 'დამფუძნებელი კომპანიის კომუნიკაცია პროგრესის შესახებ.' მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ გვერდი სახელწოდებით „პოლიტიკა შვილობილი წევრების შესახებ (Subsidiary Policy).